# „კოტიასკლდის“ კარსტული მღვიმის გეოგრაფიული შეფასება

*საბა დარბაიძე, თიკო კურტანიძე*

ელ-ფოსტა: saba.darbaidze511@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ სვერის ტერიტორიაზე მდებარე „კოტიასკლდის“ კარსტული მღვიმის მიმდებარე ტერიტორიების თანამედროვე რელიეფი შექმნილია ენდოგენური და ეგზოგენური პროცესების ურთიერთმოქმედების საფუძველზე, ამ ტერიტორიებზე, ისევე როგორც ზემო იმერეთის ტრუქტურული პლატოს ფარგლებში კარგად წარმოდგენილია ეგზოტექტონიკური, პეტროგენური, ეროზიული, კარსტული რელიეფის ფორმები და ანთროპოგენური რელიეფის ფორმები. სხვადასხვა გენეტური ტიპები თითქმის ყველგან ფარავენ სოფელ სვერის ტერიტორიებს, დიდ როლს თამაშობენ თანამედროვე ეგზოდინამიკური პროცესების ფორმირებაში.

„კოტიასკლდის“ მღვიმის გეოგრაფიულ კვლევის ფარგლებში განხორციელდა მღვიმის სამგანზომილებიანი და წერტილთა მოდელირება, ასევე შედგენილი იქნა მღვიმის დეტალური გეგმა დაკვირვების პუნქტებით. საველე პირობებში ჩატარდა დაკვირვება განხორციელდა 5 წერტილში 2024 წლის დეკემბერში და 2025 წლის მარტში. მღვიმისა და მიმდებარე ტერიტორიის შესწავლისთვის გამოყენებული იყო გეორადიოლოკაციური ტექნოლოგია, რომლის შედეგად გამოვლინდა ძირითადი მღვიმე და რამდენიმე მცირე სიცარიელე, განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში. ჩატარებული პროფილი-რების შედეგად დადგინდა, რომ პროფილების სიღრმეზე დამატებითი სიღრუეები არ ფიქსირდება. კვლევის მნიშვნელოვანი ასპექტია მღვიმეში წყლის ხარჯების შესწავლა.

მღვიმის შესასვლელში მდებარე დაბალი მონაკვეთი, სადაც გადაადგილება ხოხვით არის შესაძლებელი, საჭიროებს დაგეგმვასა და გაფართოებას ინფრასტრუქტურული მიზნების-თვის. კვლევა წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს მღვიმის შემდგომი შესწავლისა და ტურისტული ან სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.